საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2017 წლის 27 თებერვლის
დადგენილება №2326

დოქტორანტურის ინგლისურენოვანი
საგანმანათლებლო პროგრამა
“ბიოსამედიცინო ინჟინერიის”
დამტკიცების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე დამტკიცდეს დოქტორანტურის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა “ბიოსამედიცინო ინჟინერია”;
2. დოქტორანტურის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა “ბიოსამედიცინო ინჟინერიის” ხელმძღვანელად დაინიშნოს პროფესორი ირინა გოცირიძე.

დადგენილებას თან ერთვის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის საბჭოს 2017 წლის 6 თებერვლის სხდომის №2 ოქმიდან ამონაწერი (იხ. დანართი).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე

სტუ-ს აკადემიური საბჭოს 27.02.2017 №2326 დადგენილების დანართი

ამონაწერი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის
საბჭოს სხდომის
ოქმი №2
2017 წლის 6 თებერვალი

სხდომას ესწრებოდნენ: ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის საბჭოს 203 აკადემიური პერსონალი და სტუდენტური თვითმმართველობის წევრი.

დღისწესრიგი:
1. ბირთვული ფიზიკის ლაბორატორიის შესახებ;
2. მიმდინარე საკითხები.

მოისმინეს: ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსის ზ. ბაიაშვილის გამოსვლა. მან აღნიშნა, რომ ფაკულტეტზე ბიოსამედიცინო ინჟინერის დეპარტამენტში შემუშავდა ახალი, სადოქტორო ინგლისურენოვანი პროგრამა, „ბიოსამედიცინო ინჟინერია". პროგრამა შემუშავდა აშშ-ს ალაბამის ბირმინჰემის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის მემორანდუმის შესაბამისად. პროგრამის განხორციელება მოხდება აშშ ალაბამის ბირმინჰემის უნივერსიტეთან არსებული მემორანდუმის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს შეთავაზებულ სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებისთვის, კვლევითი სამუშაოების ნაწილის განახორციელებას ალაბამის უნივერსიტეტის ბაზაზე და სხვადასხვა სახის თანამშრომლობას ასევე პროგრამის ფარგლებში. გთხოვთ მხარი დაუჭიროთ აღნიშნულ სადოქტორო პროგრამას.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ი.გოცირიძემ.

დაადგინეს: იმს ფაკულტეტზე დამტკიცდეს ახალი ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა „ბიოსამედიცინო ინჟინერია" - ხელმძღვანელი პროფ. ი. გოცირიძე

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად: 203 ხმა თანახმა, თავი შეიკავა - არც ერთმა, წინააღმდეგი - არც ერთი.

ინფორმატიკისა და მართვის
სისტემების ფაკულტეტის
საბჭოს თავმჯდომარე პროფ /ზ. წვერაიძე/

ინფორმატიკისა და მართვის
სისტემების ფაკულტეტის
საბჭოს მდივანი, ასოც. პროფ. /ქ. კოტრიკაძე/